

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

შორენა ბერუაშვილი

საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების როლი განვითარებადი ქვეყნების  
ეკონომიკის ზრდის უზრუნველყოფაში

სადოქტორო პროგრამა – ბიზნესის ადმინისტრირება

შიფრი – 02

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

წარდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

თბილისი

2019 წელი

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში  
ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი  
ბიზნესის ადმინისტრირები დეპარტამენტი

ხელმძღვანელი: ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
ასოცირებული პროფესორი  
ვალერი მოსიაშვილი

რეგენზენტები \_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

დაცვა შედგება 2019 წლის ” \_\_\_\_\_ ” ივლისს, \_\_\_ საათზე  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების  
ფაკულტეტის სადისერტაციო კოლეგიის სხდომაზე,  
კორპუსი VI, აუდიტორია -----,  
მისამართი: თბილისი, კოსტავას 77.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სტუ-ს ბიბლიოთეკაში ტექნიკური ხოლო  
ავტორეფერატისა ფაკულტეტის ვებგვერდზე

სადისერტაციო საბჭოს მდივანი  
ასოცირებული პროფესორი ლია ბერიკაშვილი

## Resume

The dissertation work is dedicated to assessing the activities of international monetary-credit organizations and their role on developing countries economies. The work consists of 114 pages and "PhD thesis submitted instruction execution" by include: Title pages, signatures, copyright page, summary, contents, list of tables, list of drawings, the text of the list of the literature. Basic text, for its part, consists of introduction, literature review, the results will be discussed and a conclusion.

**In the introduction** to the study work actuality is well-founded; goal and objectives set out in the study, the subject and object, the theoretical and methodological bases and database, scientific news; displayed the work of theoretical and practical importance, and approbation of publication, volume and structure.

Literature review and answered questions raised about: the origin of the problem raised in the dissertation work, what is already known about the problem, what alternative methods are developed to solve the problem and asked which of them is used in this work.

**The results and their discussion** are presented in three chapters (by 7 paragraphs).

**The first chapter** discusses the main reasons for the creation of global currency and financial institutions to solve global financial problems only through close cooperation with financial institutions.

It also reviews the position of international organizations in the international financial system, their main types and functions. In addition, there are author's views on the role of international financial institutions in the world financial system.

**The second chapter** considers main monetary-credit organizations. The main emphasis is made to the organizations, such as the World Bank Group (which unites five organizations: International Bank for Reconstruction and Development, International Development Association, International Finance Corporation, Multilateral Investment Guarantee Agency, International Center for Settlement of Investment Disputes) International Monetary Fund, Asian Development Bank.

Chapter 2 describes the main directions of the organization's activities, the number of projects financed and the volume of lending, as well as the financial results in parallel with the activities of international monetary and financial organizations in various regions.

The chapter unites:

1. Financial results of World Bank Group in different regions: South Africa, East Asia and Pacific Countries, Europe and Central Asia, Latin America and Caribbean countries, Middle East and North Africa, South Asia;

2. Financial Results of International Monetary Fund in Asian Developing Countries. The data includes the volume of import, export and foreign debt of GDP, investment, goods and services;

3. Annual Reports of Asian Development Bank 2011, 2012, 2015 and 2018 and the financial results obtained from the organization's activities in various developing countries.

**The third chapter** reviews the cooperation of the International Monetary-Credit Organizations, Achievements and Number of Finished Projects along with the volume of lending, results and future cooperation scenarios.

The third chapter states that Georgia needs the assistance of international monetary-credit organizations to maintain macroeconomic stability. Consequently, the state must maximally ensure and strengthen the further partnership. The fact is that the macroeconomic stability of Georgia is still not solid and risks are quite high in this

regard;

In previous years, decisions on macroeconomic stability of the country were much more effective than effective implementation of the projects within these decisions. Consequently, the country is engaged in more efficient and effective use of financing by qualified organizations. It is desirable to consult with the relevant sphere representatives before the decision is made connected to International Monetary Fund projects;

**In conclusion**, the main findings, conclusions and proposals of the dissertation are briefly established to achieve the economic stability of the developing countries in the work with international monetary-credit organizations.

### ნაშრომის ზოგადი დახასიათება

**თემის აქტუალურობა.** საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის შექმნის იდეა, მეოცე საუკუნის შუახანებიდან იწყება, კერძოდ კი მეორე მსოფლიო ომის დასრულებას უკავშირდება. საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციის შექმნის მიზანი იმ ეკონომიკური პრობლემების გადაჭრა იყო, რომელმაც, კაცობრიობა ომამდე მიიყვანა. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს დღემდე მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ მსოფლიოს ეკონომიკურ კეთილდღეობაში. მიუხედავად ამისა, უკვე მრავალი წელია აკადემიურ, საექსპერტო და ბიზნეს წრეებში არ წყდება კამათი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ განვითარებადი ქვეყნების მიმართ არსებული სტრატეგიისა და საქმიანობის შესახებ.

სხვადასხვა ტიპის დისკუსიების დროს იკვეთება ხშირად ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული შეხედულებები. ორგანიზაციების საქმიანობის შეფასებისას ადამიანთა შეხედულებები ორად იყოფა. ნაწილში დადებითადაა განხილული საერთ. საფინანსო ორგანიზაციების საქმიანობა და მიჩნეულია, რომ თანამედროვე ბიზნეს-გარემო წარმოუდგენელია ასეთი ტიპის ორგანიზაციების გარეშე, რადგან მათი დახმარებები უალტერნატივოა. ამასთან ერთად, არსებობს ცალკეული ავტორების მოსაზრებები, რომლებიც კრიტიკულად აფასებენ ორგანიზაციების საქმიანობას, ექვემდებარებენ იმ სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებს, რომლებიც მიიღება საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებების შემდეგ. მოსაზრებების ნაწილი ეხება იმ შეცდომებს, რომლებიც ორგანიზაციების საქმიანობას ახლავს თან. ავტორების ნაწილი მიიჩნევს, რომ ისინი მხოლოდ განვითარებულ ქვეყნებს

ეხმარებიან და მათი საქმიანობა განვითარებადი ქვეყნებისათვის სრულებითაც არ არის დადებითი შედეგის მომტანი.

ყველაზე საყურადღებო კი ის არის, რომ საქართველოში ამ მიმართულებით არასათანადო დრო აქვს დათმობილი კვალიფიციურ, კვლევაზე დაფუძნებულ დისკუსიას. მართალია, მუდმივად მიმდინარეობს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მიერ საქართველოსთვის გაწეული თუ გასაწევი ფინანსური დახმარებების განხილვა, მაგრამ, აღნიშნული განხილვები ზედაპირულია და არ ეყრდნობა მეცნიერულ კვლევას. საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის ანალიზი ასე თუ ისე გვხვდება ადგილობრივ პუბლიკაციებში, მაგრამ, ამ შემთხვევაშიც ინფორმაცია განახლებას საჭიროებს, რაც, ბუნებრივია, ცვლის უკვე წარმოდგენილი კვლევის შედეგებს. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების პოლიტიკის, პრიორიტეტებისა და შესაბამისი საქმიანობის შესახებ კვლევების არ არსებობამ, არასისტემურმა და არაარგუმენტირებულმა დამოკიდებულებამ შესაძლოა შეაფერხოს აღნიშნული ინსტიტუტების მიერ ქვეყნისთვის არსებითად მნიშვნელოვანი საქმიანობა და საფინანსო ორგანიზაციების წინადადებების გაუაზრებლად მიღებამ ქვეყნის განვითარებას მნიშვნელოვანი ზიანი მოუტანოს.

თუ განვიხილავთ მსოფლიო პრაქტიკას, განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობაში საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების გადაწყვეტილებათა მიმართ ადგილობრივი მთავრობების უაპელაციო მიდგომაა დამკვიდრებული. ასეთი მიდგომა, ხშირად, სწორედ აღნიშნულ ქვეყნებს აზარალებს. ხსენებული ტენდენცია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა, რომელზეც არაერთი უცხოელი მკვლევარი ამახვილებს ყურადღებას. ამ ტენდენციის საპირისპიროდ გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც განვითარებადმა ქვეყნებმა დასაბუთებული წინააღმდეგობა გაუწიეს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ცალკეულ გადაწყვეტილებებს, ან შესთავაზეს დახმარებების გადანაწილების უფრო ეფექტური მოდელები. თანამედროვე ეკონომიკური რეალობა სავსეა ისეთი მაგალითებითაც, როდესაც საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების გადაწყვეტილებებს ალტერნა-

ტივებს ვერ უძებნიდნენ და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ნაცვლად მნიშვნელოვანად დააზარალეს საკუთარი ქვეყნის ეკონომიკა.

როგორც პრაქტიკამ და მეცნიერულმა კვლევებმა დაადასტურა, სერიოზული პრობლემაა საზოგადოების ნაკლები ინფორმირებულობა. აღნიშნული პრობლემა იწვევს სამოქალაქო საზოგადოების, კერძო სექტორის ნაკლებ ჩართულობას ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებში. საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების პრიორიტეტების, საქმიანობის შესახებ არაინფორმირებულობა აფერხებს კერძო სექტორის მხრიდან ეფექტური ბიზნეს პროექტების შემუშავებას, ამცირებს დაფინანსების და განხორციელების შანსს. საზოგადოების ფართო სპექტრის ინფორმირებისა და ჩართულობის ხარისხის ასამაღლებლად მნიშვნელოვანი ნაბიჯები დღემდე არ გადადგმულა.

მიზანშეწონილია, მოხდეს საზოგადოების ინფორმირება ამ კუთხით, კერძოდ, შესწავლილ იქნეს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, მათი დაკრედიტების მოცულობები და ასევე ის სფეროები, სადაც დაკრედიტება ხდება. საზოგადოებამ მონაწილეობა უნდა მიიღოს ამ პროცესში, მათი ჩართულობით უნდა მოხდეს ქვეყნის პრიორიტეტების გაცნობა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისთვის და დაკრედიტების მოცულობები გადანაწილებულ იქნეს იმ სფეროებში, სადაც ამის საჭიროებაა.

**კვლევის მეცნიერული სიახლე.** დისერტაციაში გაანალიზებულია საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების როლი განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკის ზრდის უზრუნველყოფაში, რომლის შესახებაც, მსოფლიო მასშტაბით არაერთგვაროვანი შეფასებები არსებობს.

დისერტაციაში რეკომენდირებულია საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მიერ გაცემული ფინანსური დახმარებების ოპტიმიზაციის პრაქტიკული საკითხები განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაში. ასევე შეთავაზებულია გაცემული ფინანსური დახმარებების მიზნობრიობის ფორმატის ცვლილება, გადანაწილების ოპტიმიზაციის მექანიზმი განვითარების სხვადასხვა საფეხურზე არსებულ სახელმწიფოებს შორის. დისერ-

ტაციის ერთ-ერთი თავი მიძღვნილია საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან საქართველოს შემდგომი თანამშრომლობის სცენარებს, რამაც საშუალება უნდა მიცეს ქვეყანას მოახდინოს მაქსიმალური შედეგის მიღება მიღებული ფინანსური დახმარებების შედეგად.

კვლევის პროცესში წარმოდგენილი და გაანალიზებულია საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობა განვითარებად ქვეყნებსა და საქართველოში; შეფასებულია არსებული სტრატეგია და განსაზღვრულია საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების დახმარების ეფექტურად გამოყენების გზები; შემუშავებულია დასაფინანსებელი ბიზნეს პროექტების, წინადადებების, ინიციატივების წინასწარ შეფასების მოდელი. თუ განისაზღვრება საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების სტრატეგიათა ეფექტურად გამოყენების ტაქტიკა, იგი მნიშვნელოვნად სრულყოფს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიმართ სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის, ბიზნესის სფეროს პოლიტიკას, შედეგზე ორიენტირებულს გახდის მას და აამაღლებს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის ხარისხს.

კვლევის პროცესში შესწავლილია საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ანგარიშები, მოხდა საფინანსო ინსტიტუტების პრიორიტეტული მიმართულებების შედარება განვითარებად ქვეყნებში და საქართველოში. ორგანიზაციების დაფინანსებების პარალელურად განხილულია ის ფინანსურ-ეკონომიკური შედეგები, რომლებიც ორგანიზაციების საქმიანობას მოჰყვამს მსოფლიოს განვითარებად ქვეყნებში და საქართველოში, უფრო კონკრეტულად კი განხილულია მშპ-ს მოცულობის, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის, დასაქმების დონის, დაწყებითი და საშუალო განათლების მიმღები ახალგაზრდობის პროცენტული დონის, ინვესტიციების მოცულობის ცვლილება. შედეგები განხილულია სხვადასხვა რეგიონის და ქვეყნის მაგალითზე. შესწავლილია საქართველოში განხორციელებული წარმატებული პროექტები და სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური შედეგები. კვლევისას ძირითადი აქცენტი გაკეთებულია ისეთ ორგანიზაციებზე, როგორცაა: მსოფლიო ბანკი, აზიის განვითარების ბანკი და საერთაშორისო

სავალუტო ფონდი.

საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების განვითარებად ქვეყნებსა და საქართველოში დახმარების პროგრამების კვლევის შედეგად ჩამოყალიბებულია ავტორისეული რეკომენდაციები:

❖ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების პოლიტიკა და პრიორიტეტები უნდა განისაზღვროს რეგიონულ კონტექსტში და კონკრეტულად ქვეყანასთან (საქართველო) მიმართებაში;

❖ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობის, მისი შედეგების შეფასებისას ძირითადი აქცენტი უნდა გაკეთდეს სტატისტიკურ მონაცემებზე, მათ წარმატებებსა და შეცდომებზე. გათვალისწინებულ იქნას არსებითად მნიშვნელოვანი კომპონენტი - ქვეყნის მზაობა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების სტრატეგიის ეფექტურად გამოყენებისთვის;

❖ შემუშავდეს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან თანამშრომლობის, პარტნიორობის ერთიანი სტრატეგია.

❖ უზრუნველყოფილ იქნეს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების გრძელვადიანი, საშუალოვადიანი და მოკლევადიანი სტრატეგიების მორგება განვითარებადი ქვეყნების ინტერესებსა და პრიორიტეტებზე რაც უფრო გამჭვირვალეს და სანდოს გახდის საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობას.

**კვლევის მიზანი და ამოცანები.** სამუშაოს მიზანია მკითხველს გააცნოს საკმაოდ ყოვლისმომცველი ინფორმაცია საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებზე, რომელიც მოიცავს ორგანიზაციების საქმიანობის განხილვას მათი დაარსების დღიდან, კერძოდ: მათი საქმიანობის ძირითადი მიმართულებებს, მიზნებს, დაფინანსების პრინციპებს ამა თუ იმ ქვეყნებში, სხვადასხვა ქვეყნების ორგანიზაციებში გაწევრიანების პერიოდს, განხორციელებული პროექტებს დაკრედიტების მოცულობებით. ამა თუ იმ რეგიონში გამოყოფილი დაკრედიტების მოცულობების და სფეროების განხილვის შემდგომ აუცილებელია, რომ მკითხველმა შეძლოს გააანალიზოს შემდეგი საკითხები:

□ რამდენად სერიოზულია ფინანსური და სოციალური შედეგები,

რომლებიც მათ საქმიანობას მოსდევს განვითარებად ქვეყნებში;

- რეალურად რა როლს თამაშობენ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები ეკონომიკაში;
- რამდენად ეფექტურია იმ რეკომენდაციების გათვალისწინება, რომლებიც შეთავაზებულია ავტორის მიერ.

ავტორის მიზანია არსებულ მასალაზე დაყრდნობით შესაძლებელი გახდეს, რომ მკითხველმა მოახდინოს იმ დადებითი და უარყოფითი შედეგების ფორმულირება, რომლებმაც შესაძლოა თავი იჩინონ ორგანიზაციებთან ურთიერთობის რომელიმე ეტაპზე, გაიაზროს ის ალტერნატიული საშუალებები, რომლების გამოყენებითაც ურთიერთობა ორგანიზაციებსა და წევრ ქვეყნებს შორის გადავა სრულიად ახალ ფაზაზე.

**კვლევის ობიექტი.** კვლევის ობიექტებად, კვლევის მიზნიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, გამოდიან განვითარებადი ქვეყნები და რეგიონები. კვლევის დროს განიხილება განვითარებადი ქვეყნების ურთიერთობა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან, მათი თანამშრომლობის ეტაპები, ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროექტები სხვადასხვა წლებში, დაკრედიტების მოცულობები და სფეროები. ასევე განიხილება განვითარებადი ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ცვლილება საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების დახმარებების პარალელურად, კერძოდ, გამოკვლეულია მშპ-ს მოცულობის ცვლილება, მთლიანი ეროვნული მაჩვენებლის ცვლილება წლების მიხედვით, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, უმუშევრობის დონე, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის პროცენტული რაოდენობა, დაწყებითი და საშუალო განათლების მიმღები ბავშვების პროცენტული რაოდენობის ცვლილება სხვადასხვა წლებში. მონაცემები გამოთვლილია ამ რეგიონებში საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის და თანამშრომლობის დაწყებიდან დღემდე და ა.შ.

**კვლევის მეთოდოლოგია** ეყრდნობა ძირითადად ისტორიულ და სისტემურ მიდგომას, შედარებითი ანალიზის მეთოდს, ინდუქციისა და დედუქციის მეთოდს, სტატისტიკურ მეთოდს; პრობლემაზე დაფუძნებული

კვლევის მეთოდს.

**ისტორიული მეთოდი** - გამოყენებული გვაქვს მეორე და მესამე თავების პირველ ქვეთავებში, რომლებშიც აღწერილი გვაქვს თუ საიდან იღებენ დასაბამს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები. განხილულია, როგორც სხვადასხვა განვითარებადი ქვეყნების, ისე საქართველოს ურთიერთობა საერთ. საფინანსო ორგანიზაციებთან, დაფინანსების პრინციპები, მოცულობები, სხვადასხვა ქვეყნების საერთ. საფინანსო ორგანიზაციებში გაწევრიანების თარიღები და ყველაზე წარმატებული პროექტები სხვადასხვა წლებში.

**პრობლემაზე დაფუძნებული კვლევის მეთოდი** გამოყენებული გვაქვს სადისერტაციო ნაშრომის მეორე და მესამე თავების მე-2 ქვეთავებში, სადაც აღწერილია ორგანიზაციებთან საქმიანობის შედეგად მიღებული ფინანსური და სოციალური შედეგები, რომლებიც რეალურად გვიჩვენებენ იქნა თუ არა მიღწეული პროგრესი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით.

**ანალიზის მეთოდი** - გავანალიზეთ მიღებული სოციალურ-ეკონომიკური შედეგები. ანალიზის მეთოდი საშუალებას გვაძლევს დავინახოთ როგორი შედეგები მოჰყვა საერთ. საფინანსო ორგანიზაციების საქმიანობას განვითარებად ქვეყნებში. ანალიზის მეთოდის დროს გამოყენებულ იქნა ინდუქციისა და დედუქციის მეთოდები.

**კვლევის თეორიულ საფუძველს** შეადგენს უცხოელ და ქართველ მეცნიერთა ნაშრომები საერთაშორისო ფინანსების, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების შესახებ, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების წლიური ანგარიშები.

**კვლევის ემპირიული ბაზა** საკმაოდ მრავალფეროვანია და მოიცავს ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებულ წლიურ ანგარიშებს, განვითარებადი ქვეყნების ფინანსურ შედეგებს, საქართველოს ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროების მასალებს.

#### **კვლევის ძირითადი შედეგები და შედეგების გამოყენების სფერო.**

სადისერტაციო ნაშრომში სრულყოფილადაა შესწავლილი სამი საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაცია, ესენია:

1. მსოფლიო ბანკის ჯგუფი (რომელიც აერთიანებს ხუთ ორგანიზაციას, ესენია: რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი, განვითარების საერთაშორისო ასოციაცია, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია, მრავალმხრივი საინვესტიციო გარანტიების სააგენტო, საინვესტიციო დავების მოგვარების საერთაშორისო ცენტრი);
2. საერთაშორისო სავალუტო ფონდი;
3. აზიის განვითარების ბანკი.

თემაში დეტალურადაა შესწავლილი საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები. გამოკვლეულია ორგანიზაციების დახმარებების ფონზე მიღებული სოციალურ-ეკონომიკური შედეგები. კვლევა ძირითადად ეყრდნობა ორგანიზაციების წლიურ ანგარიშებს. კვლევის შედეგად მიღებული შედეგები ძალიან მნიშვნელოვანია.

კვლევის შედეგების მეშვეობით მოხდება საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის მიმართულებების შედეგად მიღწეული სოციალურ-ეკონომიკური შედეგების სრულყოფილი ანალიზი, ორგანიზაციების საქმიანობის შედეგების არგუმენტირებული შეფასება.

კვლევის შედეგები და რეკომენდაციები მნიშვნელოვნად სრულყოფს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიმართ სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის, ბიზნესის სფეროს სტრატეგიას, შედეგზე ორიენტირებულს გახდის მას და აამაღლებს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის ხარისხს.

ნაშრომს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს კვლევის ფარგლებში შემუშავებული მოდელი, რომელიც დანახარჯი-ეფექტიანობის მეთოდის გამოყენებით წინასწარ შეაფასებს ბიზნეს ინიციატივებს, პროექტებსა და წინადადებებს. ბუნებრივია, აღნიშნული მოდელი არსებით წვლილს შეიტანს ბიზნესის ადმინისტრირების დარგში.

### **დისერტაციის მოცულობა, სტრუქტურა, შედეგები და დასკვნები**

სადისერტაციო ნაშრომი ემდგნება საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის შეფასებას და მათ როლს განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაზე. ნაშრომი შედგება 114 გვერდისაგან და „დოქტორის აკადემი-

ური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის გაფორმების ინსტრუქციის“ მიხედვით მოიცავს: ტიტულის გვერდს, ხელმოწერების გვერდს, საავტორო უფლების გვერდს, რეზიუმეს, შინაარსს, ცხრილების ნუსხას, ნახაზების ნუსხას, ძირითად ტექსტს და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხას. ძირითადი ტექსტი, თავის მხრივ, შედგება შესავლის, ლიტერატურის მიმოხილვის, შედეგების განსჯისა და დასკვნისაგან. ნაშრომის ბოლოს მოცემულია დანართები ცხრილების სახით, რომლებიც ეხება იმ სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებს, რომლებზეც არის კვლევა დაფუძნებული.

**შესავალში** დასაბუთებულია საკვლევითი თემის აქტუალობა; გადმოცემულია კვლევის მიზანი და ამოცანები, ობიექტი და საგანი, თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები და ინფორმაციული ბაზა, მეცნიერული სიახლე; ნაჩვენებია ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა, აპრობაცია და პუბლიკაცია, მოცულობა და სტრუქტურა.

**ლიტერატურის მიმოხილვაში** დასმული და პასუხგაცემულია კითხვები იმის თაობაზე, თუ: საიდან მომდინარეობს სადისერტაციო ნაშრომში დასმული პრობლემა, რა არის უკვე ცნობილი ამ პრობლემის შესახებ, რა ალტერნატიული მეთოდებია შემუშავებული დასმული პრობლემის გადასაჭრელად და რომელი მათგანია გამოყენებული წინამდებარე ნაშრომში.

ლიტერატურაში ძირითადად მიმოხილულია უცხოელი ავტორების ნაშრომები საერთაშორისო ორგანიზაციების შესახებ, სადაც განხილულია ორგანიზაციების როლი და ადგილი საერთაშორისო საფინანსო სისტემაში. ნაშრომების ნაწილში დადებითადაა შეფასებული ორგანიზაციების საქმიანობა, ნაწილი კი მიიჩნევს, რომ ორგანიზაციების საქმიანობა სულაც არ არის ეფექტური და კრიტიკულად არიან განწყობილნი მათ მიერ მიღწეული შედეგების მიმართ.

გარდა უცხოური ლიტერატურისა მიმოხილულია ქართული ნაშრომებიც, რომლებიც საკმაოდ ინფორმაციული აღმოჩნდა კვლევის პროცესში.

**შედეგები და მათი განსჯა** წარმოდგენილია სამ თავად (7 პარაგრაფით).

**პირველ თავში** განხილულია ის ძირითადი მიზეზები, თუ რასთან არის დაკავშირებული მსოფლიო სავალუტო-საფინანსო ორგანიზაციების შექმნა,

რომ გლობალური ფინანსური პრობლემების მოგვარება მხოლოდ საფინანსო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით მიიღწევა.

ის ასევე მიმოიხილავს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების ადგილს საერთაშორისო საფინანსო სისტემაში, მათ ძირითად სახეებს, ფუნქციებს. ამასთან ერთად მოცემულია ავტორის შეხედულებები საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების როლთან დაკავშირებით მსოფლიო საფინანსო სისტემაში.

ძირითადი საერთ. საფინანსო ორგანიზაციებია:

1. საერთაშორისო სავალუტო ფონდი (სსფ), რომელიც 1944 წელს შეიქმნა. ორგანიზაციის მიზნებია:

- საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობა;
- სავალუტო კურსების სტაბილიზაციის უზრუნველყოფა;
- საგადასახდელი ბალანსის შენარჩუნება.

2. მსოფლიო ბანკის ჯგუფში შემავალი 5 ორგანიზაცია:

რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი, რომელიც 1944 წელს შეიქმნა. მისი მიზნებია:

- გრძელვადიანი კრედიტების გაცემა მისი წევრი ქვეყნებისათვის;
- განვითარებადი ქვეყნების დაკრედიტება ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის;
- განვითარებადი ქვეყნების ტექნიკური დახმარება.

განვითარების საერთ. ასოციაცია, რომელიც 1960 წელს შეიქმნა. მისი მიზნები შემდეგია:

- სხვადასხვა ორგანიზაციების გარანტიებით უზრუნველყოფა;
- საერთაშორისო ვაჭრობის სტიმულირება.

საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია, რომელიც 1956 წელს შეიქმნა. ორგანიზაციის მიზნები ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს:

- წევრი ქვეყნების დახმარება სესხების და გარანტიების საშუალებით;
- ხელშეწყობა კერძო ინვესტიციების განხორციელების მიზნით.

მრავალმხრივი ინვესტიციების გარანტიების სააგენტო, რომელიც 1988 წელს შეიქმნა. ორგანიზაციის მიზნებია:

- გარანტიების გაცემა პირდაპირი ინვესტიციების ხელშეწყობის მიზნით;
- კონსულტაციების გაწევა მთავრობებისთვის.

საინვესტიციო დავების მოგვარების საერთ. ცენტრი, რომელიც 1966 წელს შეიქმნა. მისი ძირითადი მიზანია მხარეთა საარბიტრაჟო პროცედურებით უზრუნველყოფა ინვესტიციურ დავებში შერიგებისთვის.

3. აზიის განვითარების ბანკი. მის ძირითად მიზნებს შეადგენს:

- სიღარიბის შემცირება;
- ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა.

**მეორე თავში** განხილულია წამყვანი საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები.

ამასთან ერთად მე-2 თავში მიმოხილულია ის სავალუტო-საკრედიტო ორგანიზაციები, რომლებიც საერთაშორისო ორგანიზაციებს არ განეკუთვნება და ისინი მიიჩნევიან რეგიონალურ ორგანიზაციებად. ეს რეგიონალური ორგანიზაციებია პარიზისა და ლონდონის კლუბები, თემაში განხილულია ორგანიზაციების საქმიანობის მიმართულებები, წევრები. აქცენტი არ არის გაკეთებული ფინანსურ შედეგებზე, რადგან დისერტაციის ძირითად მიზანს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების შესწავლა წარმოადგენს. პარიზისა და ლონდონის კლუბები არ წარმოადგენენ საერთაშორისო ორგანიზაციებს და მათი საქმიანობაც შედარებით სპეციფიკურია. კლუბებთან მიმართებაში საუბარია ასევე მათ შორის მსგავსებებზე და განსხვავებებზე.

მე-2 თავში დეტალურადაა აღწერილი ორგანიზაციების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, დაფინანსებული პროექტების რაოდენობა და დაკრედიტების მოცულობა, ასევე მიღებული ფინანსური შედეგები საერთაშორისო სავალუტო-საფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის პარალელურად სხვადასხვა რეგიონში.

თემაში მოცემულია:

1. მსოფლიო ბანკის ჯგუფის ფინანსური შედეგები სხვადასხვა რეგიონებში: სამხრეთი აფრიკა, აღმოსავლეთ აზია და წყნარი ოკეანის ქვეყნები, ევროპა და ცენტრალური აზია, ლათინოამერიკა და კარიბის ქვეყნები, ახლო

აღმოსავლეთი და ჩრდილოეთ აფრიკა, სამხრეთ აზია;

2. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ფინანსური შედეგები აზიის განვითარებად ქვეყნებში. მონაცემები მოიცავს მშპ-ს, ინვესტიციების, საქონლისა და მომსახურების იმპორტის, ექსპორტისა და საგარეო ვალის მოცულობას;

3. აზიის განვითარების ბანკის 2011, 2012, 2015 და 2018 წლების წლიურ ანგარიშებს და იმ ფინანსურ შედეგებს, რომლებიც იქნა მიღებული ორგანიზაციის საქმიანობის შედეგად სხვადასხვა განვითარებად ქვეყნებში.

**მესამე თავში** მიმოხილულია საქართველოს თანამშრომლობა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან, დაფინანსებული პროექტების რაოდენობა დაკრედიტების მოცულობასთან ერთად. თემაში წლების მიხედვით არის განხილული ის ძირითადი პროექტები, რომლებიც საქართველოში განხორციელდა ორგანიზაციების დახმარებით, ასევე ის მიზეზები, რომლების მიღწევასაც აღნიშნული პროექტები ემსახურებოდა.

**2014-2018 წლებში მსოფლიო ბანკის ჯგუფის მიერ დამტკიცებული პროექტები ასე გამოიყურება:**

- 2014 წლის 13 მაისი, პროექტი ელექტრომომარაგების სისტემების გასაუმჯობესებლად, მისი ღირებულება ჯამში 61.88 მილიონ აშშ დოლარს უდრის;
- 2014 წლის 23 მაისი, 50 \$ მილიონის ღირებულების პროექტი საირიგაციო სისტემების გასაუმჯობესებლად;
- 2014 წლის 26 ივნისი, 92.69 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების პროექტი ეკონომიკური ზრდის ხელშესაწყობად;
- 2014 წლის 3 ივლისი, გზების რეაბილიტაციასთან დაკავშირებული პროექტი. პროექტი 93.75 მლნ აშშ დოლარის ღირებულებისაა;
- 2014 წლის 3 ივლისი, 58.93 \$ მილიონის ღირებულების პროექტი, რომელიც დაკავშირებულია ინფრასტრუქტურის განვითარებასთან;
- 2014 წლის 29 ივლისი, პროექტი დაკავშირებულია აუდიტის სფეროში რეფორმების განხორციელებასთან, პროექტის ღირებულებამ ჯამში 0.50 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა;

- 2015 წლის 15 იანვარი, პროექტი ადგილობრივი მეწარმეობის გასაძლიერებლად, პროექტის მოცულობამ ჯამში 2.50 \$ მილიონი შეადგინა;
- 2015 წლის 28 აპრილი, 60 \$ მილიონის ღირებულების პროექტი, რომელიც დაკავშირებულია კერძო სექტორის გაძლიერებასთან ბიზნეს გარემოს რეფორმების გზით;
- 2015 წლის 1 ივლისი, მესამე რეგიონალური განვითარების პროექტი, რომლის მიზანია ინფრასტრუქტურის განვითარება, ტურიზმის ხელშეწყობა. პროექტის ღირებულებამ 75\$ მილიონს მიაღწია;
- 2015 წლის 8 ოქტომბერი, 0.14 \$ მილიონის ღირებულების პროექტი აუდიტის სფეროში;
- 2015 წლის 3 დეკემბერი, 164 \$ მილიონის ღირებულების პროექტი გზების მშენებლობისათვის;
- 2016 წლის 18 მარტი, 42 \$ მილიონის მოცულობის პროექტი ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად;
- 2016 წლის 4 აპრილი 11.25 \$ მილიონის მოცულობის პროექტი ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად;
- 2017 წლის 24 მარტი, პროექტი ბაგა ბაღების მდგომარეობების გაუმჯობესებისათვის, რომელსაც 0.68 \$ მილიონის ღირებულება აქვს;
- 2017 წლის 31 ივლისი, 50 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების პროექტი, რომელიც დაკავშირებულია კერძო სექტორის გაძლიერებასთან ბიზნეს გარემოში რეფორმების გატარების მიზნით;
- 2017 წლის 8 ნოემბერი, 130 მილიონის ღირებულების პროექტი გზების მშენებლობების დასაფინანსებლად.

**აზიის განვითარების ბანკის მიერ განხორციელებული პროექტებიდან**

**აღსანიშნავია:**

- 2009 წლის 80 \$ მილიონის ღირებულების პროექტი ეკონომიკური ზრდისათვის;
- 2008 წლის 12 ნოემბერს ბანკის მიერ გამოყოფილი 70 მილიონი დოლარი პოსტ-კონფლიქტური მდგომარეობის შემდგომ ეკონომი-

კური სტაბილურობის შესანარჩუნებლად;

- 2010 წლის 21 სექტემბერი, ორგანიზაციის მიერ გამოყოფილი 100 \$ მილიონი სოციალური სერვისების გაუმჯობესების დასაფინანსებლად;
- 2013 წლის 30 ივნისს გამოიყო 63 \$ მილიონი მუნიციპალური სერვისების გასაუმჯობესებლად;
- 2009 წლის 28 ივნისი, გამოიყო 42 \$ მილიონი მუნიციპალური სერვისების გასაუმჯობესებლად (I ფაზა);
- 2011 წლის 25 ნოემბერი, ბანკმა 185 \$ მლნ მოცულობის თანხა გამოყო გზების რეაბილიტაციისთვის;
- 2014 წლის 21 ნოემბერი, გამოიყო 250 \$ მილიონი შიდა რესურსების მობილიზაციის ხელშეწყობისათვის;
- 2012 წლის 17 დეკემბერს ბანკის დაფინანსებამ 67 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, პროექტი რეგიონალური ელექტროგადამცემი ხაზების რეაბილიტაციას უკავშირდებოდა;

**საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ განხორციელებული პროექტებია:**

1997 წლის 24 მარტს , ფონდმა საქართველოს დაუმტკიცა 76 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის სესხი (55.5 SDR). პროგრამის მაკროეკონომიკური მიზნები იყო:

- მშპ-ს მაჩვენებლის ზრდა 8-10%-ით;
- ინფლაციის 10%-ით შემცირება.

1998 წელს ორგანიზაციამ გამოაქვეყნა ანგარიში, სადაც ასახა ის ფინანსური შედეგები, რომლებიც სსფ-ის საქმიანობას მოჰყვა საქართველოში, ესენია:

- ეკონომიკური ზრდა 11%-მდე;
- ინფლაციის მაჩვენებლების 7 %-ით შემცირება;
- ფისკალური დეფიციტის შემცირება 4.5%-დან (1996 წელი) 4.1%-მდე 1997 წელს.

2001 წელს სსფ-მა დაამტკიცა სესხი 141 მილიონი აშშ დოლარის (108

მლნ SDR) ოდენობით. პროგრამა ითვალისწინებდა:

- მშპ მაჩვენებლების ზრდას 3 ¼ %-მდე;
- ინფლაციის შემცირებას 6 %-მდე.

2004 წელს ფონდის მიერ გამოყოფილი სესხი 144 მილიონი აშშ

დოლარის (98 მლნ SDR) მოცულობით ითვალისწინებდა:

- მშპ-ს ზრდას 6%-ით;
- ინფლაციის შემცირებას 5 %-მდე.

2008 წლის ომის შემდგომ სსფ-მა დაამტკიცა 750 მილიონი აშშ

დოლარის მოცულობის სესხი (477.1 მლნ SDR) 18 თვიანი სტენდ-ბაი შეთანხმების ფარგლებში. კრედიტი გამიზნული იყო ომის შემდგომი პერიოდის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის.

რაც შეეხება შედეგებს, 2011 წლის მდგომარეობით საქართველომ მიაღწია ეკონომიკის 7 %-იან ზრდას, ინფლაციის შემცირებას, სახელმწიფო ვალის 34 %-მდე შემცირებას, საერთ. რეზერვების 2.8 მილიონ აშშ დოლარამდე გაზრდას.

2012 წლის 12 აპრილს სსფ დაამტკიცა 385.6 მლნ აშშ დოლარის ოდენობის (250 მლნ SDR) სესხი. 2012 წლის პროგრამის მიზნები იყო:

- ფისკალური დეფიციტის 3.5%-მდე შემცირება 2012 წელს და 3%-მდე 2013 წელს;
- უმუშევრობის დონის შემცირება (16.3%-2010 წელს).

2014 წელს ორგანიზაციამ კიდევ 154 მილიონი აშშ დოლარის

ოდენობის სესხი გამოყო. პროგრამა ითვალისწინებდა:

- ბიუჯეტის დეფიციტის 3%-მდე შესამცირებლად 2015 წელს;
- მიმდინარე ანგ. დეფიციტის 5 %-მდე შესამცირებლად.

საქართველოს ხელისუფლების თხოვნით სსფ-ის გუნდი ვერა

მარტინის ხელმძღვანელობით საქართველოს 2017 წელს (15 თებერვლიდან 1 მარტამდე) სტუმრობდა. შეხვედრებზე განიხილებოდა ეკონომიკური მხარდაჭერის პროგრამა. ამავე წლის 12 აპრილის გადაწყვეტილებით სსფ-ის დირექტორმა ქვეყანას ეკონომიკური რეფორმებისათვის 210.4 მილიონი SDR (285.3 მილიონი აშშ დოლარი) დაუმტკიცა. პროგრამის ძირითადი მიზანი

ეროვნული ვალუტის „ლარის“ სტაბილურობის უზრუნველყოფა იყო.

თემაში დაფინანსებების პარალელურად განხილულია ფინანსური შედეგებიც, რომლებიც სხვადასხვა პროექტებს მოჰყვა და მომავალი თანამშრომლობის სცენარები.

მესამე თავში აღნიშნულია, რომ საქართველოს აუცილებლად ესაჭიროება საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების დახმარება მაკროეკონომიკური სტაბილურობის შემდგომში შესანარჩუნებლად. შესაბამისად, სახელმწიფომ მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოს და გააძლიეროს შემდგომი პარტნიორობა. ფაქტია, რომ საქართველოს მაკროეკონომიკური სტაბილურობა, ჯერ კიდევ, არ არის მყარი და ამ მხრივ, რისკები საკმაოდ მაღალია;

წინა წლებში ქვეყანის მაკროეკონომიკურ სტაბილურობასთან მიმართებაში მიღებული გადაწყვეტილებები გაცილებით უფრო ეფექტური იყო, ვიდრე ამ გადაწყვეტილებების ფარგლებში განხორციელებული პროექტების ეფექტიანი გამოყენება ქვეყნის ხელისუფლების მიერ. შესაბამისად, ქვეყანას ესაჭიროება კვალიფიციური ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი დაფინანსების უფრო ეფექტიანად და სასარგებლოდ გამოყენების მიმართულებით. სასურველია, საერთაშორისო სავალუტო ფონდთან, აზიის განვითარების ბანკთან და მსოფლიო ბანკის ჯგუფთან სამუშაოდ განსაზღვრულ სახელმწიფო მოხელეებს გადაწყვეტილებების მიღებამდე კონსულტაციები ჰქონდეთ შესაბამისი სფეროს წარმომადგენლებთან;

**დასკვნაში** საერთაშორისო ორგანიზაციების ძირითადი მიმართულებების, მათი დაფინანსების სფეროების, მექანიზმების, მნიშვნელოვანი პროექტების შედეგად ჩამოყალიბებულია სადისერტაციო გამოკვლევის ძირითადი შედეგები, დასკვნები და წინადადებები, რომლებიც შესაძლოა გამოყენებულ იქნეს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან საქმიანობაში განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური სტაბილურობის მისაღწევად.

#### თავებისა და ქვეთავების დასახელებები:

თავი I. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობის ძირითადი ფუნქციები

1.1. საერთაშორისო სავალუტო-საფინანსო ორგანიზაციების ადგილი საერთაშორისო ფინანსების სისტემაში

1.2. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ძირითადი ფუნქციები

## **თავი II. საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები**

2.1 მსოფლიო ბანკის ჯგუფი

2.1.1. მსოფლიო ბანკის ჯგუფის მიერ გაწეული დახმარებები მის წევრ ქვეყნებზე

2.1.2. მსოფლიო ბანკის ჯგუფის საქმიანობა მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში და ფინანსური შედეგები

2.2. საერთაშორისო სავალუტო ფონდი

2.2.1 საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ გამოყოფილი დახმარებები მის წევრ ქვეყნებზე

2.2.2. საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მისი ფინანსური შედეგები მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში

2.3. რეგიონალური ორგანიზაციები, აზიის განვითარების ბანკი

2.3.1.1. აზიის განვითარების ბანკის მიერ გაწეული დახმარებები მის წევრ ქვეყნებზე

2.3.1.2. აზიის განვითარების ბანკი და მისი ფინანსური შედეგები მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში

2.3.2 პარიზის კლუბი

2.3.3.ლონდონის კლუბი

## **თავი III. საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების როლი საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში**

3.1 საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის შეფასება საქართველოში

3.2.საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან საქართველოს შემდგომი თანამშრომლობის სცენარები

## ნაშრომის აპრობაცია

დისერტაციის თემაზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის საგამოცდო კომისიაში დაცულ იქნა ორი კოლოკვიუმი და ორი სემინარი:

1. კოლოკვიუმი 1 – „რეგიონალური საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები და მათი მექანიზმები“ (02.03.2018)

2. კოლოკვიუმი 2 – „აზიის განვითარების ბანკის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და მათი საქმიანობა საქართველოში“ (25.07.2018)

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგები გამოქვეყნებულია

შემდეგ პუბლიკაციებში:

სამეცნიერო სტატიები:

1. „საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების ფინანსური დახმარების შედეგების ანალიზი დაბალგანვითარებად ქვეყნებში“ საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები“, გვ., 106-109, #4 . თბ., 2018;
2. „მრავალმხრივი საინვესტიციო გარანტიების სააგენტოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებები“, საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი, „სოციალური ეკონომიკა XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები“, გვ., 80-83, #1. თბ., 2019;
3. „The Mission of Multilateral Investment Guarantee Agency“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „მეცნიერება პრაქტიკისა და განვითარებისთვის“, გვ., 252-259, ბაქო (აზერბაიჯანი), 22-24 თებერვალი, 2019წ.
4. „მსოფლიო ბანკის ჯგუფის ფინანსური დახმარებების გავლენა დაბალგანვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ ზრდაზე“, (თანაავტორობით), ჟურნალი: „ბიზნეს-ინჟინერინგი“, გვ.,92-97# 1. თბ., 2015;
5. „საქართველო გლობალიზაციის მიმდინარე ტენდენციებში“ (თანაავ-

- ტობით), ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“, გვ., 201-204, # 1. თბ., 2013;
6. ფულის მიმიქცევა და კრედიტი, სახელმძღვანელო (თანაავტორობით), გამომცემლობა „დანი“, თბილისი 2014.

#### **კონფერენციები:**

1. III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები“ , საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი, „ფულის გათეთრების პრობლემები“, 2019 წლის 24-25 მაისი.
2. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია სეუ 2015 „IBRD და საქართველო“, (თანაავტორობით), ჟურნალი: „სეუ & მეცნიერება“ გვ., 81-85 #2. თბ., 2015.
3. „The analysis of foreign trade of Georgia after the accession in the WTO“ (თანაავტორობით), ჟურნალი: „ათინათი“, გვ., 199-205, #2. თბ., 2016.